საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ინფორმაცია მშენებლობაზე გაცემული ნებართვებისა და ექსპლუატაციაში მიღებული ობიექტების შესახებ

2021

იანვარი - ივნისი

30.07.2021

www.geostat.ge

30.07.2021

ინფორმაცია მშენებლობაზე გაცემული ნებართვებისა
და ექსპლუატაციაში მიღებული ობიექტების შესახებ
2021 წლის იანვარი - ივნისი

ოფიციალური დეკლარირებული მონაცემებით, საქართველოში 2021 წლის იანვარ-ივნისში გაცემულია 4400 ნებართვა (წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5,5 პროცენტით მეტი) 2955,0 ათასი კვ.მ ფართობის შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე (წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 14,7 პროცენტით მეტი). ნებართვების 71,8 პროცენტი მოდის ქვეყნის 4 რეგიონზე. კერძოდ, ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების 47,3 პროცენტი ქ. თბილისზე, 9,0 პროცენტი - ქვემო ქართლის რეგიონზე, 8,6 პროცენტი - იმერეთის რეგიონზე და 6,9 პროცენტი - მცხეთა-მთიანეთის რეგიონზე.

მშენებლობაზე გაცემული ნებართვები რეგიონების მიხედვით,
2021 წლის იანვარი - ივნისი



30.07.2021

აღსანიშნავია, რომ 2021 წლის იანვარ-ივნისში, ნებართვები გაიცა მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსების, სავაჭრო ობიექტების, სასტუმროების, სამრეწველო საწარმოების, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტებისა და სხვა შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე. გაცემულ ნებართვებში შედარებით დიდი წილით წარმოდგენილია მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსები. დამთავრებული მშენებლობების ნახევარზე მეტი მოდის ქვეყნის 4 რეგიონზე. კერძოდ, 27,8 პროცენტი ქ. თბილისზე, 12,6 პროცენტი - კახეთის რეგიონზე, 12,5 პროცენტი - ქვემო ქართლის რეგიონზე, ხოლო 10,8 პროცენტი - მცხეთა-მთიანეთის რეგიონზე.

ექსპლუატაციაში მიღებული ობიექტები რეგიონების მიხედვით,
2021 წლის იანვარი-ივნისი



სულ, 2021 წლის იანვარ-ივნისში ექსპლუატაციაში მიღებულ იქნა 818,6 ათასი კვ.მ ფართობის (წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 7,9 პროცენტით მეტი) 1128 ობიექტი (წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 39,3 პროცენტით მეტი).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

დავით კუპატაძე, ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: dkupatadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge